ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წევრის ბიძინა გობრონიძის

2015 წლის გაწეული საქმიანობის ანგარიში.

მე, ბიძინა გობრონიძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არჩეული ვარ მაჟორიტარ დეპუტატად და ვარ სოფ. თხინვალის მოსახლეობის ინტერესების დამცველი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს მუშაობაში, მონაწილეობა მივიღე 21 სხდომაში, რომლის დროსაც მიღებულ იქნა 98 განკარგულება, 46 დადგენილება, ვარ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო''-ს, ორი მუდმივმოქმედი კომისიის სამუშაო ჯგუფის წევრი. მივიღე მონაწილეობა აღნიშნული ფრაქციის 5 სხდომაში და ფრაქციების გაერთიანებულ 3 სხდომაში.

აქტიური მონაწილეობა მივიღე 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადება დამტკიცებაში.

საანგარიშო პერიოდში აქტიურად ვმონაწილეობდი კომისიის სხდომებში. კერძოდ: „აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხბი-''ს 21 და „განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა'' კომისიის 23 სხდომაში.

აღნიშნულ პერიოდში მიღწევად შეიძლება ჩავთვალოთ სოფელში ციტრუსის სრული რეალიზაციის ხელშეწყობა, რომელიც ჩვენი სოფლისთვის ერთ-ერთი შემოსავლის წყაროა, ერთჯერადი სოციალური დახმარება გაეწია რამოდენიმე ჩვენს თანასოფლელს. 2016 წელს დაგეგმილია საყანე ფართობებთან მისასვლელი გეზების რეაბილიტაცია და აგრეთვე აქტიურად განიხილება თხინვალის წყალმომარაგების საკითხი.

მე, როგორც საკრებულოს წევრმა მინდა პირობა მოგცეთ, რომ აქტიურად გავაგრძელებ მუშაობას წარმომადგენლობით ორგანოში, მაქვს იმედი, რომ ერთმანეთის გვერდით დგომით და ხელშეწყობით ყველა პრობლემა გადაიჭრება, რაც შესაბამისად დადებითად აისახება ჩვენი სოფლის ცხოვრებაზე.